

შპს „მეიდან ჯგუფი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	5
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	10
6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	10
7. კომერციული ხარჯები	10
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
9. მოგება წილის რეალიზაციიდან	11
10. ძირითადი საშუალებები	12
11. საინვესტიციო ქონება	13
12. ინვესტიციები	13
13. მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებიდან	13
14. გრძელვადიანი მოთხოვნები	13
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
16. ფული და ფულის ექვივალენტები	14
17. გრძელვადიანი სესხები	14
18. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14

შპს „მეიდან ჯგუფი“

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2018 (არააუდიტირებული)
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	4,619,277
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(670,614)
საერთო მოგება		3,948,663
კომერციული ხარჯები	7	(11,124)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,450,441)
მოგება წილის რეალიზაციიდან	9	1,269,560
საოპერაციო მოგება		3,756,658
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		762
საპროცენტო შემოსავალი		581,127
საპროცენტო ხარჯები		(823,929)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(2,166,334)
მოგება გადასახადების გადახდამდე		1,348,284
მოგების გადასახადი		-
წლის სრული მოგება		1,348,284

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 29 სექტემბერს:



ქეთევან ხუროძე
დირექტორი

შპს „მეიდან ჯგუფი“

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2018 (არააუდიტირებული)
	შენიშვნა	
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	4,619,277
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(670,614)
საერთო მოგება		3,948,663
კომერციული ხარჯები	7	(11,124)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,450,441)
მოგება წილის რეალიზაციიდან	9	1,269,560
საოპერაციო მოგება		3,756,658
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		762
საპროცენტო შემოსავალი		581,127
საპროცენტო ხარჯები		(823,929)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(2,166,334)
მოგება გადასახადების გადახდამდე		1,348,284
მოგების გადასახადი		-
წლის სრული მოგება		1,348,284

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 29 სექტემბერს:

ქეთევან ხუროძე
დირექტორი

შპს „მეიდან ჯგუფი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	2,041,998	2,136,606
საინვესტიციო ქონება	11	37,705,400	37,785,575
ინვესტიციები	12	9,651,079	7,042,316
მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებიდან	13	6,750,546	9,408,160
გრძელვადიანი მოთხოვნები	14	18,079,473	17,700,195
არამატერიალური აქტივები		42,840	42,840
სულ გრძელვადიანი აქტივები		74,271,336	74,115,692
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		13,519	28,074
საგადასახადო აქტივი		360,312	185,359
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	3,671,081	3,740,488
მისაღები პროცენტები		70,717	1,738,314
ფული და ფულის ექვივალენტები	16	654,235	129,884
სულ მიმდინარე აქტივები		4,769,864	5,822,119
სულ აქტივები		79,041,200	79,937,811
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10,337,652	10,337,652
გაუნაწილებელი მოგება		28,247,385	26,899,101
გადაფასების რეზერვი		26,207,524	26,207,524
სულ კაპიტალი		64,792,561	63,444,277
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	3,433,000	6,898,683
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,433,000	6,898,683
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18	9,377,024	7,292,741
ვალდებულებები დაკავშირებული საწარმოების მიმართ		1,675	1,675
გადასახდელი პროცენტები		1,436,940	2,300,435
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,815,639	9,594,851
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		79,041,200	79,937,811

შპს „მეიდან ჯგუფი“

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწედბო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
(არააუდიტირებული)				
ბალანსი 1 იანვარი 2018	10,337,652	26,207,524	26,899,101	63,444,277
მიმდინარე წლის სრული მოგება			1,348,284	1,348,284
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	10,337,652	26,207,524	28,247,385	64,792,561

1. კორპორატიული ინფორმაცია

მეიდან ჯგუფი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2007 წლის თებერვალში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204523239.

ძირითადი საქმიანობა. შპს მეიდან ჯგუფი არის უძრავი ქონების მართვისა და განვითარების კომპანია. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული ფართების იჯარით გაცემა. კომპანიის მეორე ძირითადი საქმიანობაა საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა უძრავი ქონების მართვის სფეროში. საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 46 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, კოტე აფხაზის ქ., N44.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები იყვნენ:

- კომპანია ტერმოტელ ასეტს კორპორაცია, 1406600 /ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.) - 69%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეიდანზე - 23.25%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეიდანია - 7.75%

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმისთვის, რომ კომპანიამ შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესაბამის ინფორმაციის გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მოამზადებს პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის შესაბამისად.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2018 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

საინვესტიციო ქონება.

აღიარება და შეფასება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან. საინვესტიციო ქონება შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით.

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ლიცენზიას და სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ინვესტიცია. ინვესტიციები შეფასებულია თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები და სხვა სახის განაწილებები აღიარდება როგორც შემოსავალი.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო თარიღებისთვის არ იდენტიფიცირებულა გაუფასურების ნიშნების მქონე სავაჭრო მოთხოვნები ან სხვა ფინანსური აქტივები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

	2018
საიჯარო შემოსავალი	3,842,587
შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან	681,378
შემოსავალი კომუნალური მომსახურებიდან	72,871
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	22,441
ჯამი	4,619,277

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2018
ცვეთა და ამორტიზაცია	(388,012)
კომუნალური მომსახურების ხარჯები	(125,767)
საიჯარო ქირა	(152,799)
სხვა ხარჯები	(4,036)
ჯამი	(670,614)

7. კომერციული ხარჯები

	2018
რეკლამის ხარჯები	(11,065)
სხვა მიწოდების ხარჯები	(59)
ჯამი	(11,124)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
შრომის ანაზღაურება	(926,367)
საკონსულტაციო ხარჯები	(86,642)
საწვავის ხარჯი	(69,646)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(38,126)
რემონტის ხარჯი	(14,449)
დაზღვევის ხარჯები	(14,143)
სხვა მომსახურე პერსონალის ხარჯი	(4,500)
ბანკის საკომისიო	(6,736)
კომუნიკაციის ხარჯები	(4,730)
საგადასახადო ხარჯი	(5,896)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(279,206)
ჯამი	(1,450,441)

9. მოგება წილის რეალიზაციიდან

მოგება წილის რეალიზაციიდან წარმოადგენს მეკავშირე საწარმოში წილის რეალიზაციის შედეგს.

შპს „მეიდან ჯგუფი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრასპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
თვითღირებულება							
ნაშთი 01/01/2018	10,584	477,885	279,342	2,338,365	277,682	24,497	3,408,355
შემოსვლა წლის განმავლობაში	132,902	-	15,414	23,218	-	695	172,229
გასვლა წლის განმავლობაში	(114,475)	-	-	-	-	-	(114,475)
ნაშთი 31/12/2018	29,011	477,885	294,756	2,361,583	277,682	25,192	3,466,109
ცვეთა							
ნაშთი 01/01/2018	-	(406,841)	(145,957)	(484,137)	(211,795)	(23,019)	(1,271,749)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(20,340)	(44,573)	(65,189)	(20,787)	(1,473)	(152,362)
ნაშთი 31/12/2018	-	(427,181)	(190,530)	(549,326)	(232,582)	(24,492)	(1,424,111)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 01/01/2018	10,584	71,044	133,385	1,854,228	65,887	1,478	2,136,606
ნაშთი 31/12/2018	29,011	50,704	104,226	1,812,257	45,100	700	2,041,998

შპს „მეიდან ჯგუფი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა- ნაგებობები	ჯამი
თვითღირებულება			
ნაშთი 01/01/2018	27,900,548	10,618,541	38,519,089
შემოსვლა წლის განმავლობაში	41,000	114,475	155,475
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-
ნაშთი 31/12/2018	27,941,548	10,733,016	38,674,564
ცვეთა			
ნაშთი 01/01/2018	-	(733,514)	(733,514)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(235,650)	(235,650)
ნაშთი 31/12/2018	-	(969,164)	(969,164)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 01/01/2018	27,900,548	9,885,027	37,785,575
ნაშთი 31/12/2018	27,941,548	9,763,852	37,705,400

12. ინვესტიციები

კომპანია	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
შპს "კალა 2005"	-	330,440
შპს "თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი"	9,387,619	6,488,416
შპს "მეიდან 2008"	100	100
შპს "იზი ვაინ თბილისი"	253,360	213,360
ააიპ "ქართული ღვინის მუზეუმი"	10,000	10,000
ჯამი	9,651,079	7,042,316

13. მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებიდან

მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებიდან წარმოადგენს დაკავშირებულ საწარმოებზე გაცემულ სესხებს. სესხის საპროცენტო განაკვეთია 7 %.

14. გრძელვადიანი მოთხოვნები

გრძელვადიანი მოთხოვნები წარმოადგენს მოთხოვნებს კომპანიის მეკავშირე საწარმოების წილის რეალიზაციიდან.

შპს „მეიდან ჯგუფი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს წილის რეალიზაციიდან	2,930,466	2,930,466
სავაჭრო მოთხოვნები	610,432	330,106
პარტნიორებზე გაცემული სესხები	-	166,437
მოკლევადიანი ავანსები	123,353	312,480
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6,830	999
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,671,081	3,740,488
საექვო და უიმედო ვალების რეზერვი	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	3,671,081	3,740,488

16. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული სალაროში	2,863	82,635
ფული ბანკში	651,372	47,249
ჯამი	654,235	129,884

17. გრძელვადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფიზიკური პირისგან ნასესხები სახსრები	ლარი	16%	-	3,196,683
იურიდიული პირისგან ნასესხები სახსრები	ლარი	15%	3,433,000	3,702,000
ჯამი			3,433,000	6,898,683

18. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	9,220,333	6,992,141
მიღებული ავანსები	147,734	287,962
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8,957	12,638
ჯამი	9,377,024	7,292,741